საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-02/138

ქ. ბათუმი 04 ნოემბერი, 2020 წელი

ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „ვებ ინტერფეისის დიზაინერი“ და „ვებ ინტერფეისის დეველოპერი“ საკვალიფიკაციო კომისიის შექმნის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 22–ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ,,პროფესიული განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,ბსუ-ს დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულის ,,პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი“-ს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 5 ოქტომბრის N02 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 8 თებერვლის №01-02/11 ბრძანების, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის 2020 წლის 3 ნოემბრის N1059860 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ,,ვებ ინტერფეისის დეველოპერი“ და „ვებ ინტერფეისის დიზაინერი“ (2019 წლის საგაზაფხულო მიღება) პროფესიული სტუდენტებისათვის კვალიფიკაციის მინიჭების მიზნით შეიქმნას საკვალიფიკაციო კომისია შემდეგი შემადგენლობით:
   ა) მადონა მიქელაძე - პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორი, კომისიის თავმჯდომარე;
   ბ) მამუკა გოგელია - პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი, კომისიის წევრი;
   გ) მანანა პატარაია - პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სპეციალისტი, კომისიის მდივანი;
   დ) გულადი ფარტენაძე - პროფესიული განათლების მასწავლებელი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ვებ ინტერფეისის დეველოპერი“ ხელმძღვანელი;
   ე) მიხეილ დონაძე - პროფესიული განათლების მასწავლებელი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ვებ ინტერფეისის დიზაინერი“ ხელმძღვანელი;
   ვ) მალხაზ თავდგირიძე - დამსაქმებელი, პროფესიული განათლების მასწავლებელი, საწარმოო პრაქტიკის ხელმძღვანელი (შპს „საბატას“ დირექტორი).

2. კომისიამ იმუშაოს 2020 წლის 5 ნოემბერს დღის 10:00 საათიდან 12:00 საათამდე და იხელმძღვანელოს ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ' ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 08 თებერვლის № 01-02/11 ბრძანებით, პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეებით და წინამდებარე ბრძანებით.
3. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველში ,,პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი'').
4. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეს (თ. სირაძე), ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს და კომისიის წევრებს.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**